

ვ. როდონაია ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი ა. არაბული

ქართული ენა 3



მოსწავლის წიგნი



მეორე ნაწილი

სარჩევი

ანდაზეთი – პაატა მამფორია	4
სანთლის გუთანს გავაკეთებ – ხალხური	7
უკუთხო და უკუნჭულო ქვეყანა – ჯანი როდარი	8
გმირი ქვასანაყი – გივი ჭიჭინაძე	11
ნაცარქექია – ქართული ხალხური ზღაპარი	12
ნაცარქექია – გიორგი წერეთელი	17
მგელი და კრავი – აკაკი წერეთელი	18
ცრუპენტელები – ნიკოლოზ ნოსოვის მიხედვით	21
ლიონებერგელი ემილის თავგადასავალი – ასტრიდ ლინდგრენი	24
მელაკუდა – დავით წერეთელი	28
მეფე და მხატვარი – სულხან-საბა ორბელიანი	30
უფლისწულის აღმზრდელი – გურამ ხარაიძის მიხედვით	31
ყაყაჩოსა სიწითლითა – ანა კალანდაძე	32
გაბუტული მეგობრები – ავთანდილ არაბიძე	35
გოგრა – ვაჟა-ფშაველა	38
სამშობლო – ლევან კობალაძე	42
გათავისუფლება – რევაზ ინანიშვილი	44
როგორ გაუჩნდა სპილოს ხორთუმი – რადიარდ კიპლინგი	46
ბუტია სპილო – ჯემალ ქირია	49
ჯაღოსური ფანქარი – დავით ჯავახიშვილის მიხედვით	52
საკლები ცხრიანი – ჯანი როდარის მიხედვით	54
ზარმაცი – გიორგი წერეთელი	56
ონავრები – ქეთევან კაკაბაძე	57
გაზაფხული – აკაკი წერეთელი	60
წიფლისჩიტა – ვაჟა-ფშაველა	62
ვაჟა აკაკის იუბილეზე – ნინო ნაკაშიძე	64
ვაჟა-ფშაველას შვილის ნაამბობი – ვახტანგ რაზიკაშვილი	65
ლოდები ამბავს ჰყვებიან – ცირა ქიტიაშვილი	66
წიფლის ნათქვამი – ცირა ქიტიაშვილი	66
შრომის საფასური – ძველი იგავის მიხედვით	67
პური და უქნარა – გიორგი წერეთელი	68
პურის ანგელოზი – შიო მღვიმელი	69
გაზაფხულის ერთი დღე – ნინო ნაკაშიძე	74
ლოცვა ავთანდილისა – შოთა რუსთაველი	75
როგორ დაარსდა თბილისი – იაკობ გოგებაშვილი	76
არაგვს ზემოთ, არაგვს ქვემოთ – ანა კალანდაძე	78
მესერი – მარკ ტვენი	79
სიხარულის ცრემლები – სულხან აბდლაძე	83
ბრძენი აზრს იცვლის – ჯანი როდარის მიხედვით	84
მთვარე – ჩვენი თანამგზავრი	86
ჩემი სოფელი – იაკობ გოგებაშვილი	90
იაკობის მოსაკითხად – თედო სახოკია	92
აკვანი – გიორგი ლეონიძე	93
ძვირფასი სახელები – პაატა მამფორია	95

ანდაზეთი

აქლემი და ნემსი დაძმობილდნენ. გაუდგნენ გზას.

ბევრი იარეს თუ ცოტა, მიადგნენ ერთ სოფელს, რომელსაც ანდაზეთი ერქვა.

გამოცხადდნენ მამასახლისთან. მამასახლისი ერთი უჯიათი და თავნება კაცი იყო. მან აქლემს ახედა, ნემსს დახედა. თვალში არც ერთი მოუვიდა და არც მეორე. ცალყბად ჰკითხა:

– აქ რამ მოგიყვანათო?
– სამოსახლო ადგილი გვინდა, უნდა მოგვიზომო.
– მერედა, მაინცდამაინც ამ სოფელს რომ მოადექით, ანდაზები თუ იცითო? – ჰკითხა მამასახლისმა.

– ანდაზების მეტი რა ვიცითო, – უთხრა ნემსმა, – ერთ სოფელში ხალხი არ იყო და ვირი აირჩიეს მამასახლისადო.

– სახედარი ტახტზე დასვეს, თავი ხელმწიფე ეგონაო, – დასძინა აქლემმა.


გაბრაზდა მამასახლისი, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

– სამოსახლოს ვერ ეღირსებითო.
– რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო! – გააფრთხილა ნემსმა და მამასახლისს ყუნწიდან გახედა.
– ჩვენ შენი წკიპურტი გვწყინს და შენ ჩვენს წიხლს ნუ იწყენო, – დასძინა აქლემმა და ჩლიქზე დაიხედა.

მამასახლისმა თავში ხელი შემოირტყა – აუტკივარ თავს რად ვიტკიებ, ამათ ანდაზებში ვინ აჯობებს. ისე არ დამემართოს, გარედან მოსულმა მამალმა შინაური რომ გააგდოო.

ადგა და მიუზომა სამოსახლო ადგილი.

ის დღე იყო და ის დღე, აქლემი და ნემსი ანდაზეთში დასახლდნენ და ერთმანეთს გვერდიდან აღარ მოშორებია.



თუ არ გჯერათ, ეს ანდაზები წაიკითხეთ:

ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ერთიაო;

ნემსის დამკარგავს არც აქლემის დაკარგვა დაენანაო;

აქლემს ნემსს დაადებენ – დაწვება, აიღებენ – ადგებაო;

აქლემს გაუჭირდა და ნემსის ყუნწში გაძვრაო.

პაატა მამფორია